აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

კომისიის სხდომის

ოქმი №4

აბაშა. 2026 წლის 22 აპრილი

ოქმი№4

სხდომას ესწრებოდნენ: შალვა ჯღარკავა, პაატა ხოშტარია, იაგო თოდუა, გელა ლაბარტყავა, მურმანი გუნია, ზაზა ალასანია და გიორგი პაპასკირი. მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი ქალბატონი ქეთევან ცომაია.

დღის წერიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის #16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს. შ. ჯღარკავა

კენჭი ეყარა დღის წესრიგს. მომხრე 7. წინააღმდეგი 0.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის #16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებებით. ცვლილება გამოწვეულია მთავრობის განკარგულებებით 608,4 ათასი, 13, 6 ათასი და 4,9 აTასი ლარით ბიუჯეტის გაზრდით. ასევე დაკორექირდა სპორტის ცენტრის ხელშეწყობის დაფინანსება საიდანაც 150,0 ლარი გამოიყო ახლად შექმნილი რაგბის განვითარების კლუბ ''ჯიხა"-ს დაფინანსებისთვის. ასევე გაუქმებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის „ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროგრამის 71,4 ათასი ლარი გადანაწილდა აბაშის კეთილმოწყობის ხარჯებში. სხდომაზე წაკითხულ იქნა განმარტებითი ბარათი.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტში აღმოჩენილ იქნა მექანიკური შეცდომა პროგრამული ბიუჯეტის კოდში 05.01.05 რაგბის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსები გრაფაში ნაცვლად 18,5 ათ. ლარისა უნდა იყოს 150,0 ათ. ლარი. აღნიშნული საკითხის გამო მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსმა ქალბატონმა ქ. ცომაიამ გააკეთა განმარტება, რომ მოხდა მექანიკური შეცდომა, შეცდომა შესწორდა

კომისიაში მერიის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით და საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინება შესწორებული სახით.

აზრი გამოთქვეს: გ. ლაბარტყავამ პ. ხოშტარიამ, ი. თოდუამმ. გუნიამ, და გ. პაპასკირმა. კომისიის წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ და სრულად მხარს უჭერენ წარმოდგენილ დადგენილების პროექტს,

დაადგინეს.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, წარმოდგენილი ხარვეზი შესწორებულია, შეთანხმებულია მერიის საფინანსო სამსახურთან და საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისია რეკომენდაციას აძლევს საკრებულოს ბიუროს აღნიშნული საკითხის შესაბამისი შესწორებული ვარიანტი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე

მომხრე 7, წინააღმდეგი 0

კომისიის თავმჯდომარე: შ. ჯღარკავა

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საფინანსო საბიუჯეტო კომისია

დასკვნა

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, წარმოდგენილი ხარვეზი შესწორებულია, შეთანხმებულია მერიის საფინანსო სამსახურთან და საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისია რეკომენდაციას აძლევს საკრებულოს ბიუროს აღნიშნული საკითხის შესაბამისი შესწორებული ვარიანტი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე

კომისიის თავმჯდომარე შ. ჯღარკავა